



8611/3-81/21 2 12082021

8611/3-81/21

12-08-2021

ქალაქ თბილისის პროკურატურას

საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის შესაბამისად, მოგმართავთ პარლამენტის წევრის კითხვით.

ჩემი 2021 წლის 09 ივლისის წერილისა და მასზე თქვენი მხრიდან 22 ივლისს მიღებული პასუხის (№13/01-44578) საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ განახლებული ინფორმაცია:

1. დღეის მდგომარეობით რა ეტაპზეა გამოძიებისა თუ სისხლისსამართლებრივი დევნის პროცესი იმ პირების მიმართ, რომლებმაც 5-6 ივლისს განახორციელეს ჟურნალისტის პროფესიული საქმიანობის უკანონო ხელშეშლა, პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ადამიანის დევნა, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდება, ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ჯანმრთელობის ჯგუფურად განზრახ მძიმე/ნაკლებად მძიმე დაზიანება; წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ, ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა და სხვა უკანონო ქმედებები?
2. დაწყებულია თუ არა გამოძიება/სისხლისსამართლებრივი დევნა სხვისი ნივთის დაზიანება/განადგურების საფუძველით. ერთი მხრივ, „თბილისი პრაიდის“ ოფისთან დროშის განადგურების ფაქტზე, მეორე მხრივ კი, „სირცხვილიას“ ოფისში შეჭრისას საკუთრივ მათი და მათი ოფისის მიმდებარე მაცხოვრებელთა საკუთრების დაზიანება/განადგურების კუთხით?
3. რამდენი პირის მიმართ მიმდინარეობს საქმე სისხლის სამართლის წესით - სხვისი ნივთის დაზიანების/ განადგურების მუხლის საფუძველზე?
4. რამდენი პირია დაზარალებულად ცნობილი სხვისი ნივთის დაზიანების/ განადგურების ფაქტზე?

5. დაწყებულია თუ არა გამოძიება 5-6 ივლისს საქართველოს პარლამენტის შენობის წინ ევროკავშირის დროშის ორჯერ ჩამოხვევის ფაქტებზე?
6. დაწყებულია თუ არა სისხლისსამართლებრივი დევნა 5-6 ივლისს დაზარალებულად ცნობილი შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების საქმეებზე?
7. ამ ეტაპზე არიან თუ არა ძალადობრივი მოწოდებებისა და ქმედებების ორგანიზატორები სრულად იდენტიფიცირებულნი?

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ანა ნაცვლიშვილი





თბილისის პროკურატურა



0131 ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ №8 ტელ: 2 405 412; 2 405 411

KARR1391696094421

№13/01-53450

02 / სექტემბერი / 2021 წ.

საქართველოს პარლამენტის წევრს
ქალბატონ ანა ნაცვლიშვილს

ქალბატონო ანა,

თქვენი 2021 წლის 12 აგვისტოს N8611/3-81/21 წერილის პასუხად, ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში გაცნობებთ:

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა სისხლის სამართლის საქმე, 2021 წლის 5 ივლისს ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის, ადამიანის დევნის, ძალადობრივი ქმედებისაკენ საჯაროდ მოწოდების, ჯგუფური ძალადობრივი მოქმედების ორგანიზების და ასეთ მოქმედებაში მონაწილეობისა და ნივთის დაზიანების ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 239-ე პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით, 225-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილით და 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე, მიმდინარეობს გამოძიება ჯგუფური ძალადობრივი მოქმედების ფარგლებში მათ შორის: „ევროკავშირის“ დროშის განაცდურების და მოძრაობა „სირცხვილიას“ ოფისის შესაძლო დაზიანების ფაქტებზე.

ამ ეტაპზე, მოცემულ საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 26 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კვალიფიკაციით და 1 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 225-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კვალიფიკაციით.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა ასევე, სისხლის სამართლის საქმე, „თბილისი პრაიდის“ მფლობელობის ხელშეუხებლობის დარღვევის, დევნის და ჯგუფური ძალადობრივი მოქმედების ორგანიზების და ასეთ მოქმედებაში მონაწილეობის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 160-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 225-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ამავე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული კვალიფიკაციით.

მოცემულ საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო 3 პირის მიმართ საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის მეორე ნაწილით, 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და 160-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული კვალიფიკაციით, რომელთა მიმართ წარმოებული საქმე არსებითი განხილვის მიზნით წარმართა სასამართლოში, ხოლო აღნიშნული საქმიდან გამოყოფილ სისხლის სამართლის საქმეზე, ამ ეტაპზე დაუდგენელი პირების მიმართ იმავე კვალიფიკაციით გრძელდება გამოძიება.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო სამმართველოს წარმომადგენელმა სისხლის სამართლის საქმე, 2021 წლის 6 ივლისს, ჟურნალისტიკისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლის და პროფესიულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით დევნის ფაქტზე, საქართველოს სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 156-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კვალიფიკაციით. მოცემულ საქმეზე, ზემოთ აღნიშნული კვალიფიკაციით, სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია 1 პირის მიმართ და საქმე არსებითი განხილვის მიზნით წარმართულია სასამართლოში.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა სისხლის სამართლის საქმე, პოლიციის მუშაკის მიმართ წინააღმდეგობის და თავდასხმის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 353-ე მუხლის პირველი ნაწილით და 353-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით.

მოცემულ საქმეზე, დაზარალებულად ცნობილია შინაგან საქმეთა სამინისტროს შვიდი თანამშრომელი, ამ ეტაპზე სისხლისსამართლებრივი დევნა არ მიმდინარეობს არცერთი პირის მიმართ.

მითითებულ საქმეებზე ჩატარებულ იქნა მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, მათ შორის გამოკითხულია ორასზე მეტი პირი (მონმე და დაზარალებული), ჩატარებულია ასზე მეტი დათვალიერება, ჩხრეკა-ამოღება, ამოცნობა, ფარული საგამოძიებო მოქმედებები, სხვა აუცილებელი და შემხვედრი საგამოძიებო მოქმედებები.

„თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართული აქციის საქმეებზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, ამჟამად ბრალი წარდგენილი აქვს 31 პირს, რომლებსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვთ პატიმრობა. ამავე საქმეებზე დაზარალებულად ცნობილია 1 იურიდიული პირი, 63 ფიზიკური პირი, მათ შორის შინაგან საქმეთა სამინისტროს 7 თანამშრომელი, 45 ჟურნალისტი და ოპერატორი.

ხსენებულ საქმეებზე გრძელდება აქტიური საგამოძიებო მოქმედებები „თბილისი პრაიდის“ საწინააღმდეგოდ გამართულ აქციაზე ძალადობრივ ქმედებებში და კანონდარღვევის ფაქტებში მონაწილე პირების იდენტიფიცირების, მათ შორის ორგანიზატორების დადგენისა და სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზნით.

პატივისცემით,

საპროკურორო სამმართველოს უფროსი

ხელმოწერა/ 
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ვანო ოქროპირიძე